სამშაბათი, 27 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 261

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს [illegible] მხოლოდ დიდი წერილები [illegible] ლობით პასუხისათვის საჭიროა [illegible] პირადად მოლაპარაკება შეიძლება—ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

„ისარის“ ✦ ქუთათურ ხელის მომწერთა ✦ საყურადღებოთ!

რადგან თუ სიჩქარის, თუ სხვა მიზეზების გამო არა ხერხდება ტფილისის და აგრეთვე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკების გასასყიდ მამულები შესახებ განცხადებები გაზეთთან დაურიგდეს ხელის მომწერლებს, ამისათვის კანტორა აცხადებს, რომ მსურველებმა ეს განცხადებები თვით კანტორა **„იმერეთში“** (ყოფილი **„კოლხიდა“**) მოიკითხონ, სადაც ამ ფურცლებს (ექვსი ფურცელი) სრულად მიიღებენ დაკეცილს.

კანტორა ხელახლა მოაგონებს ქუთათურ ხელის მომწერლებს, რომ ბევრ მათგანს აგერ წელიწადი გადის და **ჯერაც შემოუტანელი აქვს გაზეთის ხვედრი ფული და დაიჩქარონ შემოტანა.** ჟურნ.-გაზეთების კანტორა **«იმერეთი»**. (3—1)

**ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი ამხანაგის

## სევერიან ბაკურაძის

უდროოდ გარდაცვალებას. (1—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

სამშაბათს, 27 ნოემბერს, ცნობილ მომღერლის ოლიმ. ბარონატის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

„რიგოლეტო“

ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ოლ. ბარონატი, ვოდოპიანოვისა, გორინა, პახომოვა, სპეშნევა; ბ-ნნი გრინევი, კარლაშევი, კუზმინი, ლეონიდოვი, მახინი, ბრავდინი და სხვ.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 28 ნოემბერს, **კოშიცის** მონაწილეობით—„აიდა“; 29 ნოემბერს ახალი ოპერა «ანნა კარენინა». ახლო მომავალში სიბირიაკოვის ბენეფისი—„დემონი“. მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ». (0—10)



## ძმ. ნიკიტინებ. ს ცირკი.

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, 1907 წელს **გაიხსნება ცირკი**

**ა ხ ა ლ ი  დ ა ს ი,**

პირველ ხარისხოვან არტისტებისა, ევროპაში ცნობილთა, დირექტორის და რუსეთში ცირკის დამაარსებლის **აკიმ ნიკიტინის მეთაურობით.**

**დიდი ბალეტი** პეტერბურგის თეატრების ცნობილ ბალეტმეისტერის ბ-ნ **არტონიოს** გამგეობით. საკუთარი ორკესტრი იონოშის გამგეობით. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. დაწვრილებით პროგრამებში. (2—ხალ.—1)

„ტფილისის სობრანიე“

დღეს, 27-ს ნოემბერს ბ-ნთ წევრების, კანდიდატების და იმათ სახლობისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება

## „ნაკურალისელი“

კომედია 3 მოქმედ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.** (1—451 1)

## თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

## არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. ✦:✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—7)

გ ა ი ხ ს ნ ა

## დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაცემ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდებს თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

**ბიუროს** ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—10)

**ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—12)

ე ქ ი მ ი

**ივ. გომართელი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—26)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—26)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—345—19)

ე ქ ი მ ი

**ი. ი. გოკიელი**

სპეციალისტი: **ვენერიულის სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს $5^1/_2$—$7^1/_2$ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ვეტცელის სასტუმროს გვერდით. (25—406—15)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვა ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაბალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—15)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—232)

**მედიცინის დოქტორი**

**მ. ი. მურადოვი,**

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 ს. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—8)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—ნ.—19)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**ქ. ქუთაისში**

**ექიმი ბადრიძე**

ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5-ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—17)

**ელექტრონის და რენტგენის**

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—ნ.—54)

ე ქ ი მ ი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიგრის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—20)

ე ქ ი მ ი

**ბ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმი **კუჭის და ნაწლევებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პრო. № 36, სახ. ქავჭანიძისა(25—წლ.

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ახპახსოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარ სკ. კვირა 1—2 ს.

**ზოტოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორბადოვსკი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ინბერი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევშტროევა**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორონცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

**პივარსკი** — / **ჩუდნოვსკი**— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—64)

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი-მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—10)

ე ქ ი მ ი

**მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

გამოვიდა და იყიდება

„წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში“

**ლ. ანდრეევის დრამა**

## „ცხოვრება ადამიანისა“

თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. (10—1)

გ ო რ შ ი

ხელ-ახლა გაიხსნა დაკეტილი

## წიგნის მაღაზია

ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა

მაღაზია ძველ ადგილას არის და ძველებურადვე ვაჭრობს. (4—ნ.—4)

**საყმაწვილო წიგნი**

## „გრიმის ზღაპრები“

(გამოცემა „ნაკადული“-სა)

**იყიდება „ნაკადულის“ რედაქციასა და წერა-კითხვის საზოგადოებაში.** (5—4)

ი ყ ი დ ე ბ ა

ს. საგურამოს ახლო (დუშეთის მაზრა), მცხეთის პირდაპირ, არაგვის მარცხენა ნაპირზე

## სახნავი მიწები

და ტყე

ზომით 544 დესეტინა. მამულში მოთავსებულია ევროპიულად მოწყობილი ორსართულიანი წისქვილი.

მამული დაგირავებულია ტფილისის სათ.-აზნ. ბანკში და მყიდველს შეუძლიან ბანკის ვალი თავის სახელზე გადაიტანოს.

**პირობები შეღავათიანია.**

დაწვრილებით ცნობების გაგება და საბუთების ნახვა შეიძლება ალექსანდრე ყიფშიძესთან, ტფილისში, თ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა). ფოსტის ადრესი: Тифлисъ. улица Бѣлинскаго Дворянское Депутатское Собраніе. г-ну А. Кипшидзе. (5—6.—1)

## 1908 წლის ბიუჯეტი

დღეს სათათბირო უნდა შეუდგეს 1908 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას. მთავარი მნიშვნელობა პარლამენტისა იმაშია, რომ იგი, როგორც სახალხო წარმომადგენლობა, სასტიკი ყურისმგდებელი უნდა იყოს იმისა, თუ რა შემოსავალი აქვს სახელმწიფოს და როგორ იხარჯება ეს შემოსავალი. ამიტომ ნამდვილ საპარლამენტო ქვეყნებში სახალხო წარმომადგენლობას განუსაზღვრელი უფლება აქვს მთელ ხარჯთ-აღრიცხვას შეეხოს თავის კრიტიკით, შესცვალოს დაუყონებლივ ან დაავალოს მთავრობას მომავლისათვის შესცვალოს ესა თუ ის სტატია შემოსავლისა ან გასავლისა. რუსეთის ბიუროკრატიამ, რაკი თვითონ შეთხზა ძირითადი კანონები და შეზღუდა პარლამენტის უფლებაც, ბიუჯეტის კანტროლიც სასტიკად ალნიშნულს ფარგალში მოამწყვდია. 1906 წლის 8 მარტის კანონით მთავრობამ ზურგი გაიმაგრა ამ მხრით და სახალხო წარმომადგენლობას სულ მცირე უფლება დაუთმო ბიუჯეტის საქმეში. ბიუროკრატია იმდენად მაღლა აფასებს 8 მარტის კანონს, რომ საჭიროდ მიაჩნია მომავალ წლის ბიუჯეტის პროექტში გაიმეოროს, რომ სათათბიროს ნება არა აქვს შეეხოს სამეფო სახლის ბიუჯეტს, იმ კრედიტებს, რომელიც დაფუძნებულნი არიან უმაღლესად დამტკიცებულ შტატებსა და კანონებზე და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, ბიუჯეტის თითქმის ნახევარი ნაწილი ხელუხლებელია ან, როგორც შარშან უწოდა სათათბიროს ოპოზიციამ, „ჯავშნიანი ბიუჯეტია“, რომელსაც პარლამენტის კრიტიკა ვერას დააკლებს.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, საპარლამენტო კრიტიკისა და კანტროლის როლი საბიუჯეტო საქმეში ერთობ მცირდება. ამიტომ ჯერ კიდევ დარჩება რუსეთის სახელმწიფო მეურნეობაში ის უსამართლო და მძიმე საფინანსო სისტემა და ის აუარებელი ნაკლულევანება, რომელნიც დამახასიათებელ თვისებათ ითვლებიან რუსეთის ბიუჯეტისა. პირველი და მეორე სათათბირო კარგად გრძნობდნენ, რა ძლიერი იარაღი დაიტოვა ხელში ბიუროკრატიამ 8 მარტის კანონით, კარგად გრძნობდნენ, რომ სათათბიროს კანტროლი უმნიშვნელო იქნება და საფინანსო სისტემა არ გაუმჯობესდება, სანამ პარლამენტი სათანადოთ არ გააფართოვებს საბიუჯეტო უფლებას; ამიტომ კიდეც შეუდგნენ შესაფერ კანონ-პროექტის შედგენას. მესამე სათათბირო, თითქმის ექვს გარეშეა, ამ საქმეს არ გამოეკიდება და მთავრობას ამაში არ შეეცილება; იგი იმდენად მორჩილია ძირითად კანონებისა და არსებულ წესებისა, რომ, ალბათ, ჯერ ხანად მაინც ფორმალურად მოეკიდება საქმეს და უმნიშვნელო ცვლილებების მოხდენით დაამტკიცებს მთავრობის მიერ წარმოდგენილს ბიუჯეტს,—იმ ბიუჯეტს, რომლის უდიდესი ნაწილი მძიმე ტვირთადაწევს კი სერზე მშრომელ და გაღატაკეულ ხალხს და რომლიდან პირდაპირ ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ერთი მეათედიც-კი არ იხარჯება...

საზოგადო ბალანსი 1908 წლის ბიუჯეტისა ფინანსთა მინისტრის პროექტებში ნავარაუდევია 2.515 მილიონი მანეთი—ორ მილიარდ ნახევარზე მეტი და 5 მილიონ მანეთით მეტი, ვიდრე წინა წელს. სულ 10—15 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუჯეტმა ერთი-ორად იმატა და კოლოსალურ ციფრამდე ავიდა! ხალხი წამოუდგენლად გაღატაკდა, ვაჭრობამრეწველობა დაეცა, სახელმწიფო ბიუჯეტი კი შეუჩერებლად მატულობს და იზრდება. ცხადია, რომ ასეთი ზრდა ხელოვნურია, რომ საფინანსო კეთილდღეობა სახელმწიფოსი არაა აშენებული ქვეყნის კეთილდღეობაზე. ეს უფრო თვალსაჩინოდ ხდება, როცა ჩვეულებრივ შემოსავლის ციფრებს ვაკვირდებით. მინისტრის პროექტში მოყვანილია შემდეგი ცნობები 5 წლის შემოსავლისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1902 წ. | შემოსავალია | 1.905,4 | მილ. |
| 1903 „ | „ | 2.031,8 | „ |
| 1904 „ | „ | 2 018,3 | „ |
| 1905 „ | „ | 2.024,5 | „ |
| 1905 „ | „ | 2.271,7 | „ |

მომავალ წლისათვის ჩვეულებრივი შემოსავალი ნავარაუდევია: 2.318,9 მილ. მანეთი. თქვენ ხედავთ, რომ ომის წლებში სულ მცირედ უკლია შემოსავალს, საერთოდ-კი ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩვეულებრივს შემოსავალს თითქმის 20%-ით უმატნია. ქვეყანა საშინელს კრიზისს განიცდის: ხალხი მშიერია, აღებ მიცემობა და მრეწველობა დაეცა, სახელმწიფო-კი თავისას იღებს და იმას არ დაეძებს, თუ რა

მძიმე ტვირთი აწევს ქვეყანას კისერზე. ავიღოთ ახლა 1902 წელი და 1908 წელიწადი და ვნახოთ ამ ექვსის წლის განმავლობაში როგორ იმატა სხვა და სხვა სახის შემოსავალმა:

| | 1902 წ. | ათასი მან. | 1908 წ. |
|---|---|---|---|
| 1) პირდაპირი გადასახადი | 133.081 | | 173.301 |
| 2) არაპირდაპირი | 428.538 | | 490.034 |
| 3) ბაჟი სხვა და სხვა | 101.085 | | 116.949 |
| 4) მთავრობის რეგალიები | 545.804 | | 784.751 |
| 5) სახაზინო ქონება და თანხები | 523.716 | | 657.356 |
| 6) სახ. ქონებათა გასაღება | 929 | | 488 |
| 7) ნადელების გამოსასყ. გადასახ. | 89 741 | | 507 |
| 8) სახ. ხაზინის ხარჯის შევსება | 75.075 | | 83.140 |
| 9) შემთხვევითი შემოსავალი | 7.435 | | 12.361 |
| სულ | 1.905.404 | ათ. მან. | 2.318.887 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ყველა დარგს შემოსავლისას თვალსაჩინოდ უმატნია; მხოლოდ რადგან შიდა რუსეთის გლეხებს ეპატიათ ნადელების გამოსყიდვის გადასახადი და რადგან აგრეთვე სახელმწიფო თავის სახაზინო ქონებას (მამულებს) აღარ ჰყიდის აგრარულ რეფორმის გამო, ამ ორ სტატიას დაჰკლებია, დანარჩენი შემოსავალი კი ერთობ მატულობს. ამ ექვსი წლის განმავლობაში, როცა ქვეყანამ ესოდენი გაჭირვება ნახა და ესოდენ დაღარიბდა, ხალხს პირდაპირის გადასახადისა მეტი უნდა შეეტანა 40 მილიონ მანეთით, არა-პირდაპირისა 60 მილიონ მანათით და ბაჟისა 15 მილიონ მანათით!..

საკუთრად 1908 წლის პროექტით შემოსავალი ნავარაუდევია 47 მილიონ მანეთით მეტი 1906 წელთან შედარებით (1907 წელს კანონიერი ბიუჯეტი არ ჰქონია). უმთავრესად მატულობს, მთავრობის ვარაუდით, მაგარ სასმელების მონოპოლიისა და სახაზინო რკინის გზების შემოსავალი; რასაკვირველია, საგრძნობლად მატულობს პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებიც... რუსეთის შემოსავლის ბიუჯეტს, გარდა არა-პირდაპირ გადასახადთა ზრდისა, ახასიათებს კიდევ ის საშინელი ოპერაცია, რომელსაც ჰქვია მაგარ სასმელების მონოპოლია. დახედეთ ამ ცხრილს: ხაზინას ამ ექვსის წლის განმავლობაში გაუყიდნია არაყი და შემოსვლია ამ ოპერაციიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1902 წელს | 484.558 | მილ. | მან. |
| 1903 „ | 542 288 | „ | „ |
| 1904 „ | 543.484 | „ | „ |
| 1905 „ | 609.365 | „ | „ |
| 1906 „ | 697.504 | „ | „ |

მომავალ წელს მთავრობა ამ შემოსავლისას მოელის 696.225 მილიონ მანათს. მარტო ეს შემოსავლის სტატია საკმაოდ კარგად ახასიათებს რუსეთის საფინანსო სისტემის ავ-კარგიანობას: სახელმწიფო აწარმოებს ხალხის საწამლავს—არაყს და ამ წარმოებიდან აქვს საუკეთესო შემოსავალი. რამდენს მეტს დალევს ხალხი, მით უკეთესია ხაზინისათვის!..

ბიუჯეტის სხვა მხარეებს შემდეგ დავუბრუნდებით.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**როდიჩევის სიტყვა**. რუსეთის გაზეთებში სრულად არის დაბეჭდილი როდიჩევის სიტყვა, რომლისთვისაც იგი სათათბიროდან დაითხოვეს 15 კრების განმავლობაში. მოგვყავს მისი სიტყვა.

„მთავრობას თავის დეკლარაციით ახალი არაფერი უთქვამს. ყველაფერი ძველებურად რჩება... სად არის დამშვიდება, რომელსაც რეფორმები უნდა მოჰყვეს? ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. სანამ რუსეთი დაყოფილი იქნება ხარისხებათ, ჩვენ, ჩვენი სამშობლოს მოყვარულნი (ყვირილი და სიცილი მარჯვნივ, ტაში მარცხნივ), ვეცდებით მოქალაქის შექმნას. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ რუსეთის მთავრობას უნდა ახსოვდეს ის სიტყვები, რომლითაც მან დაიმსახურა უმაღლესი მოწონება: რუსეთის მეფე არის მეფე არც თავად-აზნაურობისა, არც მემამულეებისა, არც გლეხებისა, არც რუსებისა, ებრაელებისა და პოლონელებისა (მარჯვნივ ყვირიან: „რუსების მეფეა!“); იგი არს მეფე მთელის რუსეთისა. რუსეთის ყოველ ქვეშევრდომს უნდა შეძლება ჰქონდეს რუსეთს თვისი სამშობლო უწოდოს (მთელი მარცხენა მხარე ტაშს უკრავს). მაგრამ სანამ ეს ასე არ იქნება, თქვენ (მინისტრებს) უფლება არა გაქვთ პატრიოტიზმზე ხმა ამოიღოთ. (ხმაურობა მარჯვნივ) ჩვენ ყურები გამოგვიჭედეს ეროვნულ იდეის შესახებ ყვირილით.. დიახ, ჩვენც გვაქვს ეგ იდეა, რომელიც გვიკარნახებს, რომ ჩვენ ჩვენი ძალა უფლებაზე უნდა დავამყაროთ. რატომ არ გვითხარით თქვენ, რომ უფლების პატივისცემას აპირებთ? ამის მაგივრად თქვენ დაგვპირდით, ხეპრულ ძალით შეგებრძოლებითო. მაგრამ სად არიან ის მოსამართლენი, რომელნიც მომავალში გამარჯვებულს გაამტყუნებენ? თქვენ გწამთ ძალა და არა გწამთ უფლება. რუსეთის მოსამართლეთა დაცვა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეროვნული გრძნობა და სიამაყე მავალებენ ხმა მაღლა განვაცხადო, რომ მოსამართლეთ არ ეშინიათ განაჩენის დადგინებისა... (ხმაურობა მატულობს). მთავრობის წარმომადგენელმა ისიც გვითხრა, რომ ჩვენ არა-რუსთ მხოლოდ მაშინ მივცემთ მცირეოდენ უფლებებს, როცა ისინი შეგვიყვარებენო. მე ვეკითხები მათ, ნუ თუ უფლების დამსახურება სიყვარულით უნდა მოხდეს. ნუ თუ რუსებს მოაკლდებათ უფლებანი, თუ პოლონელებსა და სხვებსაც მიეცა იგივე უფლებანი? რუსეთის მთავრობას არ სურს პოლონური უნივერსიტეტი ვარშავაში. მაგრამ განა მე არ გამეხარდება, როცა გავიგებ, რომ რუსეთის მეოხებითა და ძალით ვარშავაში ისმის პოლონური მეცნიერება პოლონურს ენაზე? ჩვენ კი საქმე ისე მოვაწყეთ, რომ რუსეთის ქვეშევრდომნი უცხოეთში ეძებენ მეცნიერებას. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ეროვნული გრძნობა დაკმაყოფილებულ იქნება მაშინ, როცა ვარშავის უნივერსიტეტში პოლონურ ენაზე დაიწყებენ ლექციების კითხვას. როცა პოლონელები გაითქვამენ ხოლმე სახელს ან აღმოაჩენენ რასმეს, ჩვენ ვამბობთ, ისინი რუსები არიანო, მაგრამ თუ მათ სამშობლო ენაზე მოინდომეს სწავლა, ვუკრძალავთ, ნებას არ ვაძლევთ. ბატონებო, რუსების მიერ დაჩაგრულ ხალხს რუსეთის შეყვარება არ შეუძლიან“. ამის შემდეგ როდიჩევმა ერთმანეთს შეადარა პურიშკევიჩისა და სტოლიპინის ნათქვამი და სთქვა, რომ ისტორია „მურავიოვის საყელოს“ უწოდებს სტოლიპინის ყელსაბამსაო. ამ სიტყვების გამო სათათბიროში საშინელი აურ-ზაური და აყალმაყალი მოხდა.

**ტაქტიკის გამოცვლა**. „რუს. სლ.“-ს კორესპონდენტი ირწმუნება, რომ როდიჩევის ინციდენტმა საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს „კადეტები“ და ოქტომბრისტები. „კადეტებმა“ გადასწყვიტეს თავი დაანებონ საპარლამენტო ცენტრის შედგენას და სავსებით მიემხრნენ მემარცხენეთ.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **წ. კ. საზოგადოების დადგენილება.** შაბათს, 24 ნოემბერს, მოხდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობისა და მოწვეულ პირთა სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის შესაფერ შენობის აგების შესახებ. სხდომამ დაადგინა, შეუდგეს ზრუნვას საჭირო თანხის შესაგროვებლად ნაციონალურ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობისთვის. რადგან გამგეობის დადგენილების განხორციელება დიდ დროს მოითხოვს, სხდომამ საჭიროდ სცნო შენობის აგებამდე, დროებით ბიბლიოთეკა-მუზეუმი მოხერხებულ და უფრო უშიშარ ადგილას იქნას გადატანილი. სხდომაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე იმაზე, საზოგადოების წიგნების მაღაზია უკეთეს ადგილას მოთავსდეს. სხდომამ დაადგინა, მაღაზია გადატანილ იქნას ქუჩის პირად. აზრადა აქვთ მაღაზიისთვის სასახლის ქუჩის პირად თავად-აზნაურთა ქარვასლაში დაიქირაონ შენობა.

✦ **ნამესტნიკის წასვლა**. სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: „ამ მოკლე ხანში პეტერბურგს ჩამოვა კავკასიის ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც ახალი თანამდებობა მოელის. ხმა დადის, რომ მას დანიშნავენ ადესის ოლქის ჯარის უფროსად და გენერალ-გუბერნატორად, კაულბარსის ნაცვლად, რომელიც ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებს“.

✦ **მკვლელობა** 24 ნოემბერს შემდეგი ამბავი მოხდა ვერაზედ. ღამის 11 საათი იქნებოდა, გოროდოვოებმა სკრიპკომ და პოპოვმა დააპატიმრეს ორი კაცი და წაიყვანეს პოლიციაში. უცნობები, როგორ შემდეგ გამოირკვა, აღმოჩნდნენ გ ზურაშვილი და დიმიტრი ძიძინაშვილი. გზაზე, როგორც გოროდოვოებს უთქვამთ, დაჭერილთა განსათავისუფლებლად მათ თავს დასცემია ორი უცნობი. ერთს პოლიციელმა თოფი ესროლა და იქვე მოჰკლა. იგი აღმოჩნდა ალექსანდრე ბურდულაძე. როცა ჰკითხეს გოროდოვოის, რად მოჰკალით, რატომ არ დაიჭირეთ, მან განაცხადა, უცნობები გაიქცნენო. ბურდულაძეს ტყვია თვალში აქვს მოხვედრილი, ესე იგი წინიდან. რომ გაქცეულიყო, უკანიდან უნდა მოჰხვედროდა.

✦ **მოხელის მოკვლა**. 24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, ამაღლების ქუჩაზედ თავის ბინის მახლობლად დასეირნობდა ტფილისის სავაჭრო ბანკის მოხელე ავეტიქ ქალანთაროვი. ვიღაც შეიარაღებულმა კაცმა ქალანთაროვს ესროლა რევოლვერი და მიიმალა. ქალანთაროვი რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არ არის გამორკვეული.

✦ **ვაჭრის მოკვლა.** სირაჩხანის ქუჩაზე მიმავალს ძველი ტანისამოსით მოვაჭრეს სიღნაღის მაზრის მცხოვრებს იაგორ კოკოშვილს ვიღაც კაცმა 24 ნოემბერს საღამოთი რევოლვერი ესროლა და მოჰკლა. მკვლელი დაიმალა.

✦ 25 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, არაფელოვის სახლში თავ. ერისთავთან უჟმონის დროს უეცრად გარდაიცვალა პრაპორშჩიკი სერგეი ჟორდანოვი.

✦ 24 ნოემბერს ნაშუადღევს 4 საათზედ ფ. ვოლფსონს სომხთა ბაზარში 6 კაცი დახვედრია და წაურთმევიათ 200 მან., საათი, საპაპიროსზე ვერცხლისა და ფასიანი ქაღალდი 320 მან. ამ საქმის გამო ეჭვით დაუპატიმრებიათ 10 კაცი.

✦ 25 ნოემბერს იზმაილოვის ქუჩაზე მიმავალ აბასთუმნის სასახლის ზედამხედველს ანდრია ხელაევს შემთხვევით ჯიბეში რევოლვერი გაუვარდა და ფეხში დაიჭრა. დაჭრილი საექიმო დახმარების აღმოჩენის შემდეგ სახლში გაგზავნეს.

✦ 24 ნოემბერს საღამოთი ნუხის ქუჩაზე მღვაჭრე ოსიპ ოსიპოვის თევზის საწყობიდან მოუპარავთ 679 მანეთის თევზი.

✦ ვატნი ქუჩაში პოლიციელებმა 26 ნოემბერს საღამოთი დააპატიმრეს უცნობი კაცი, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა რევოლვერი. უცნობი აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები პლატონ გურგენიძე.

✦ 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოს დარაჯს ხეჩატურ მინასოვს, როგორც პოლიციაში განუცხადებია, შევარდნია 6 შეიარაღებული კაცი და წაურთმევიათ სადარაჯოში მყოფთა ზაქაროვისათვის 100 მან., მურადოვისათვის 60 მან. ს. მინასიანცისთვის საკომერციო ბანკის ბილეთი 1500 მან., ფულად 80 მან. და სხვა ნივთები.

✦ ავჭალის ქუჩაზე მცხოვრებმა რკინის გზის სახელოსნოს მუშამ კირილე მილლერმა მთვრალმა 25 ნოემბერს საღამოთი ბებუთით დასჭრა ორგან თავისი ცოლი. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო მილლერი დააპატიმრეს.

—

**შეცდომის გასწორება**. „ისრის“ მე-260 № დაბეჭდილ წერილში: „ეროვნული საკითხის ევოლიუცია ჩვენებურ სოციალ დემოკრატების ბანაკში“ კორექტურული შეცდომა შეგვეპარა: პირველ სვეტის მე-27-ე სტრიქონში სწერია: „ეროვნულ **თვითმართველობის** იდეები“, უნდა იყოს: „ეროვნულ **თვითმკვლელობის**“ იდეები.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ მიუხედავად მეფურნეების ულტიმატუმისა, რომ ხუთის დღის განმავლობაში პურს ფასი მოუმატეთ, თორემ პურის ცხობას შევაჩერებთო, ქალაქის საბჭომ ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდო შემდეგ სხდომისათვის; ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვია იმან, რომ რუსეთიდან მიღებულ ცნობებით პურის ფქვილს ფასი აკლდება და ჩვენი მეფურნეები-კი სხვას გაიძახიან. რათა საკითხი სავსებით გამოირკვეს, საბჭომ მიანდო გამგეობას ფქვილის ნამდვილ ფასების გარდა, შეეკითხოს ბათუმისა და ფოთის ქალაქის გამგეობას პურის ნიხრის შესახებ. ბათუმსა და ფოთიდან გამგეობამ უკვე მიიღო ცნობა, რომ ოყა პური ბათუმში იყიდება ორ კაპეკათ, ხოლო ფოთში $1^1/_2$ კაპეკათ უფრო ნაკლებ, ვიდრე ქუთაისში. ეჭვი არ არის, რომ ფქვილს ფასი არ მომატებია ადგილობრივ; ქალაქის გამგეობის ცნობებით, კიდევაც დააკლდა და თუ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მეფურნეები ნიხრის მომატებას თხოულობენ, ამისი მიზეზი ან თვით მეფურნეების გაზვიადებული მადაა ან და ფქვილის ვაჭრებს სარგებლობა უნდათ გარემოებით. მეფურნეებს ზედ დაემატნენ ყასბები, რომელნიც ხორცის ნიხრის მომატებას ითხოვენ.

✦ ქუთაისიდან ოსტენდეს სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნა რამდენიმე ექსპონატი და მათ შორის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სტატისტიკური ნაშრომი და რაჭველ ყიფიანის ღვინო. აქ დასახელებული ექსპონატები დაუჯილდოვებიათ უმაღლესის პრემიით—„grand prix“.

✦ საგუბერნიო სატუსაღო რომ არ იყო მრავლად შეკრებილ ტუსაღებს, გუბერნიის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა სხვა ბინა მოეძებნა ტუსაღებისათვის. ამ დღეებში ერთი ნაწილი ტუსაღებისა გადაიყვანეს ახალ ბინაზე.

✦ ქუთაისის სათავად-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ მთავრობას დაუნიშნავს ფინანსთა სამინისტროს მოხელე ერემეევი, რომელსაც ბანკის ვაჭრობის დაწყებამდე მოელიან.

✦ უადგილოდ დარჩენილ მუშათა მხრით ჭიათურაში მრეწველთა საბჭოს მიმართეს თხოვნით, ბინა დაგვიქირავეთო. საბჭომ ბინის დაქირავება თავმჯდომარის მოადგილეს მიანდო.

✦ ამას წინად მოკლულ ქალაქის დარაჯის დასაფლავების ხარჯად გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას დაავალა 50 მანეთის მიცემა, ხოლო იმის დასაფლავებას, გუბერნატორის განკარგულებით, უნდა დაესწრნენ ქალაქის გამგეობა, ხმოსნები და მოქალაქენი.

✦ ს. შუქრუთის მცხოვრებლებმა თავს იდვეს განსაკუთრებულ ხელ-წერილით ადგილის მოპოვება და შენობის მასალის დამზადება სასოფლო სავწავლებლისათვის, ხოლო მრეწველთა საბჭომ იტვირთა, თანახმად მეცხრე კრების გადაწყვეტილებისა, ამ სასწავლებლის შენახვა. მასწავლებლად დასახელებულია ხუროძე და იმის დასამტკიცებლად და სასწავლებლის დაარსების ნებართვის ასაღებად მრეწველთა საბჭომ შესაფერი შუამდგომლობა აღძრა სახალხო დირექციის წინაშე.

✦ ამას წინად მრეწველთა საბჭოს მიმართა წინადადებით შორაპნის მაზრის უფროსმა, რომ ყაზახების ბინაზე დ. ჭიათურაში ტელეფონი გაეყვანა. წინადადება შავი ქვის მრეწველთა საბჭომ შესაწყნარებლად სცნო, თუ მაზრის ადმინისტრაცია ხარჯს იკისრებს.

✦ ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოების თხოვნა ფულით დახმარების შესახებ მრეწველთა საბჭომ თავის უფლებით ვერ გადასწყვიტა და იგი მოხსენდება შავი ქვის მრეწველთა მორიგ კრებას, რომელიც მარტში უნდა მოხდეს.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ კვლავ აღძრა შუამდგომლობა რკინის გზის გამგეობის წინაშე, რომ ფეხით მოსიარულეთათვის რკინის გზის ლიანდაგზე ხიდი გაკეთდეს.

✦ ორი წელიწადი სრულდება, რაც მრეწველთა საბჭო ითხოვს სესხად რკინის გზის გამგეობისაგან 40.000 მანეთს იმ პირობით, რომ იგი გადაიხადოს ერთი წლის განმავლობაში იმ ფულიდან, რომელიც საბჭომ რკინის გზისაგან უნდა მიიღოს ყოველ თვიურად მადნის გადასახადის სახით. დღემდის ეს საკითხი არ გასცილებია ჩვეულებრივ კანცელარიულ მიწერ-მოწერას. ეხლა საქმე იქამდის მივიდა, რომ სესხი ნება დართულია და შესაფერ კრედიტს ვერ პოულობენ, რომ სამართლიანი მოთხოვნილება მრეწველთა საბჭოსი დააკმაყოფილონ. მეორე შუამდგომლობა საბჭოსი 154 ათასი მანეთის სესხის შესახებ უკეთეს მდგომარეობაში არ არის—პეტერბურგელმა წარმომადგენელმა აცნობა საბჭოს, საეჭვოა სესხის მიღებაო.

✦ კვირას, 2 დეკემბერს, ქუთაის,ს თეატრის დარბაზში ბ-ნი გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას ამ საგანზე: „ნაციონალური იდეა ფილოსოფიურ იდეალიზმის შეხედულებით“. ლექციის თეზისები ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი 21 ნოემბერს.

## სასამართლო

**დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება.**

ამ დღეებში საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს იმათ, ვისაც დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცებას აბრალებენ. მოგვყავს შინაარსი ამ ოქმისა.

1906 წელს 12 აპრილს, ღამე დუშეთის ხაზინაში მისადგ ოთახში ყარაულობდა ნაფიცი მეანგარიშე ანტონ პეტკიუნისი, რომელიც რევოლვერით და თოფით იყო შეიარაღებული. იმავე ოთახში იყო მორიგი მოანგარიშე (შჩოტჩიკი) ეგნატე პრაინიუსი. ღამის 11 საათზე და 45 წუთზე შემოსავალ კარებთან ნელი ბრახუნი მოისმა. მოდარაჯეთ ეგონათ, ხაზინადარი ვლ. კორინთელი მოდისო, რადგან მას ჩვეულებად ჰქონდა ხაზინის ღამე დათვალიერება, მაგრამ როცა კარებთან მივიდნენ და გამოეხმაურნენ, გაიგეს, რომ ჯარის კაცები მოსულიყვნენ საყარაულოდ. რადგან ჯარის კაცთა ყარაულობა ხაზინაში ორი კვირის წინად გაუქმებულ იქმნა, გარდა ამისა ჯარის კაცები ყოველთვის 8—9 საათზე მოდიოდნენ ხოლმე, ამიტომ პრაინიუსმა ყოყმანი დაიწყო, გაეღო კარები თუ არა. მაინც ეჭვის გასაქარწყლებლად ჰკითხა, რომელი როტისა ხართო, რადგან იცოდა, რომ დუშეთში იმ დროს დაბანაკებული იყო მხოლოდ 1 როტა 263 ნოვობაიაზეთის პოლკისა. უცნობებმა პირველი როტა დაასახელეს და პრაინიუსსაც ეჭვი გაეფანტა და კარები გაუღო. მართლაც შემოვიდა ექვსი კაცი ნოვობაიაზეთის პოლკის ფორმაში გამოწყობილი, თოფით ხელში და საპატრონე ყუთით ქამარზე. პრაინიუსმა კარების დაკეტვა ძლივს მოასწრო, რომ მეორე ოთახის კარებთან მდგომ პეტკინიუსის კვნესა მოესმა. პრაინიუსმა მიიხედა და შენიშნა, რომ ახლად შემოსულებმა პეტკინიუსს იარაღი საჩქაროდ წაართვეს, თვითონ გარედ გამოვარდნა მოინდომა, მაგრამ ვიღამაც ძლიერად წაუჯიკავა და რამდენისმე წუთში ორთავეს ,თან მიტანილ თოკით ხელ ფეხი შეუკრეს და თუ ხმას ამოიღებდნენ, სიკვდილს დაემუქრნენ. შემდეგ ორი მათგანი გაემართა სამორიგე ოთახისაკენ, სადაც ეძინა მორიგ მოხელეს გრიგორ მაზიტოვს, კიდევ მეორე ოთახში, სადაც ეძინათ ჯარის კაცი და ნაფიც მოანგარიშეს დიმიტრი ჭონქაძეს. ორივეს ხელ-ფეხი შეუკრეს, ჰუმბარებიც აჩვენეს და დაემუქრნენ: „ხმა არ ამოიღოთ და არც ადგილიდან გაინძრეთ, თორემ აქაურობას ნაცარ-ტუტად ვაქცევთ, ჩვენც დავიღუპებით და თქვენც დაგღუპავთო“. შეკრულები ერთ ალაგას მოათავსეს და თან მოტანილ რკინის ჯოხით დაუწყეს ფულის საკუჭნაო ოთახის რკინის კარებს მტვრევა. როცა კარები შემტვრიეს, სამორიგეო ოთახიდან პატარა ლამპა მოიტანეს, ყუთი გასტეხეს, სადაც ინახებოდა ხაზინის ხელ-უხლებელი ფონდი—ქაღალდის ფული—315,000 მანეთი. ფული პარკში ჩაალაგეს, რომელიც თან მოჰქონდათ. ბოროტ-განმზრახველთ მოიწადინეს შეეტყოთ, თუ რა ინახებოდა ცეცხლისაგან უზრუნველ კასაში და როცა შეიტყეს, რომ იქ 2000 მანეთი ოქროთ, ხელი არ ახლეს. ხელი არ ახლეს აგრეთვე ვერცხლის ფულს, რომელიც პარკებში იყო ჩალაგებული. ამის შემდეგ ერთი უცნობი ხელ-ფეხ შეკრულებთან დარაჯად დარჩა, დანარჩენებმა დაავლეს ხელი ქაღალდის ფულით სავსე პარკს და იმავე კარებით, რომლითაც შემოვიდნენ, გზას გაუდგნენ. დარჩენილი უცნობი ერთის საათის განმავლობაში დადიოდა ოთახში და თან ხელ-ფეხ შეკრულებს ემუქრებოდა: „არ გაინძრეთ, კრინტი არ დასძრათ, თორემ აი რევოლვერი და ყუმბარაო.“ ერთის საათის შემდეგ მან ფრთხილად დასდო მაზიტოვის ფეხთით ერთი ყუმბარა და წავიდა, თან დაუბარა ყველას, ცოტა რამ შეინძრევა საკმაოა, რომ ყუმბარა აფეთქდეს და ამიტომ დილამდე ადგილიდან არ დაიძრათო.“

მიუხედავად ამისა პრაინისმა მოკლე ხანში ხელები გაინთავისუფლა, თოკი გადასჭრა და სხვებიც გაანთავისუფლა. დაუყონებლივ მორთეს ყვირილი და ქუჩის მეორე პირას ყაზარმაში დაბინავებულ

კაზაკებს საშველად მიმართეს.

ზემო თქმული დაამოწმეს გრ. მაზიტოვმა, დიმიტრი ჰონქაძემ, ეგნატე პრაინიუსმა და ანტონ პეტკიანიუისმა. უკანასკნელმა, სხვათა შორის, ისიც დაუმატა უცნობები იმერლები უნდა ყოფილიყვნენ, ურთიერთშორის ქართულად ლაპარაკობდნენო. ერთმა მათგანმა სთქვა, რომ ჩვენ ავაზაკები კი არა, რევოლიუციონერები ვართ და ან უნდა დავიღუპნეთ, ან ფული წავიღოთო. გარდა ამისა, როცა ორმა მათგანმა ჯარის კაცის ფარაჯა გაიხადა, აღმოჩნდა, რომ ერთს ეცვა პიჯაკი, მეორეს ადგილობრივი ჩოხა. ეტყობოდა, რომ უცნობებმა კარგად იცოდნენ ხაზინის სადგომში სად რომელი ოთახი იყო და ისიც, რომ იმ დღეს იქ სამხედრო დარაჯები არ იყვნენ.

როცა ხაზინაში მეორე დღეს ფული იანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ უცნობებს წაუღიათ 315,000 მანეთი; აქედან 24,000 მანეთი თითო მანეთიანი, 53,400 სამ მანეთიანი, 25,000—ხუთ მანეთიანი, 28,000 თუმნიანი, 7,300 — ოცდახუთიანი, 26,600—ხუთ თუმნიანი, 35000—ათ თუმნიანი და 50,000 ხუთას მანეთიანი. ფული ეწყო ყუთში დას-დასად, ნომრები არეული არ იყო, მაგრამ რა ნომრები იყო ამ ფულზე ვერ გამოარკვიეს. მოწმის ვლ. კორინთელის სიტყვით, 1905 წელს ხელუხლებელი ფონდი იყო 421,000 მაგრამ 1905 წლის ბოლოს თანხის ერთი ნაწილი მთავრობის განკარგულებით მოხმარდა ადგილობრივ საჭიროებას, ასე რომ 1906 წლის მარტისთვის დარჩა 315,000 მანეთი, რომელიც ინახებოდა ცალკე ყუთში, სხვა ფულისაგან განცალკევებით. ფულის რაოდენობა და ადგილი, სადაც ინახებოდა იმ დროს, ეცოდინებოდა მხოლოდ ვინმე ხაზინაში მოსამსახურეთაგანს. გარეშე ამ ფულის ამბავს შეიტყობდა მხოლოდ ვინმე ხაზინის მოხელეთაგან. ადგილობრივ გასინჯვამ გამოარკვია, რომ დუშეთის ხაზინა მოთავსებულია სადგომში, რომელიც 6 საჟენით დაშორებულია [კაზაკთა ჩერნომორის პოლკის 1 სოტნის ყაზარმას, სადაც მუდამ სდგას მოდარაჯე კაზაკი. ყაზარმის შიგნითაც მთელი ღამე მღვიძარეა მორიგი კაზაკი. გარდა ამისა, ხაზინის სადგომის ის ფანჯრები, სადაც მოხელე და ნაფიცები არიან ხოლმე მოთავსებული, პირდაპირაა მიქცეული ყაზარმის შენობისაკენ. მაზიტოვის, ჰონქაძის და სხვების ჩვენებით, როცა ყაზარმაში სასიგნალო სტვენას დაიწყებენ, ხმა ხაზინაში კარგად ისმის ხოლმე. ხაზინის კარების ალმაცრივ სამაზრო სამმართველო და მაზრის უფროსის ბინა. კიდევ გამოირკვა, რომ იმ ღამეს ყაზარმაში მოდარაჯე კაზაკები 11 საათსა და 45 წუთზე ყაზარმიდან გამოსულან, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ გაუგონიათ. ღამის ორი საათის დაწყებისას მოდარაჯე კაზაკს გაუვლია ხაზინის კარებთან, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ მოსმენია. მხოლოდ ღამის სრულ ორ საათზე, როცა მოდარაჯე კაზაკი შიგ ყაზარმაში ყოფილა, გაუგონია ყვირილი და ხმაურობა. პოლიცია მაშინვე ფეხზე დამდგარა, ზომები მიუღია, მაგრამ კვალისთვის ვერ მიუგნია.

(შემდეგი იქნება)

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ს. ნანეიშვილისეული** (გურია). რაც დრო გადის, რეაქცია უფრო და უფრო მეტს ავლებს წვენებურ გლეხ-კაცობას. არ გაივლის ისეთი დღე, რომ რაიმე ხრიკი არ მოუგონოს აქაურმა სოფლის ადმინისტრაციამ გაძვალტყავებულს, მშიერ გლეხს და ჯარიმა-ჯარიმაზედ არ გადაახდევინოს. რეაქციის ძლიერებამ ფრთები შეასხა აქაურ საზოგადოების ნაძირალებსაც, რომელთაც იწყეს თავიანთი საქმენი საგმირონი. იშვიათია ისეთი კვირა, რომ ვინმე არ დააბეზღონ.

ერთ მოსახლეს, ნ. დ—ნს ესტუმრა ვიღაც უმაწვილი კაცი, რომელიც წინად შენიშნული იყო ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან. იმავე დღეს, შუადამის 12 საათზე კაზაკთა რაზმმა ალყა შემოარტყა ხსენებულ სახლს, დაუწყო სჩრეკა და აქოთება, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ბოღმს, პირში ჩალა გამოვლებულნი, უკან გაბრუნდნენ. ხალხის უზომო გაჭირვებამ თან მოიტანა აუარებელი ცარცვა-გლეჯა: იპარავენ ცხენს, ძროხას, ქათამს და სხვას. ამასაც არა კმარობენ და თოფ-რევოლვერებით შეიარაღებულნი თავს ესხმიან ყველას, ვისაც კი რამე აბადია. მეორეჯერ დაეცნენ ხსენებულ სოფელში მოგაჭრე ს. კუტალაძეს და ბ. ზაქარეიშვილს. პოლიცია-კი ყველაფერს ხალხს აბრალებს და ემუქრება; „იცით თუ არა, ქურდები უნდა მაჩვენოთო!" თითონ კი ქურდებს არ აპარტყუნებს და ნიშნის მოგებით ხალხს ზურგზედ ბიდს ადენს. ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა ნიღბში მოგაჭრე მედუქნეს გერმანე ხუნდაძეს, მოჰკლეს იგი, წაართვეს 500 მანეთი და არხეინად გზას გაუდგნენ. ამის გამო გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით შვიდ-შვიდი მანეთით დააჯარიმეს იდაჯ გაწვეტილი გლეხები.

ხა—ძონ.

—

**ფოთი**. 18 ნოემბერს ფოთის ნავთ-სადგურთან უბედურება დატრიალდა. მოულოდნელად საღამოს რვა საათზე ისეთი ქარი შხალი ამოვარდა, რომ ადამიანს გარედ გამოსვლა აღარ შეეძლო. ამ დროს შავი ზღვის ნაპირებიდან მონავალა რამდენიმე სანდალი, დატვირთული ხე-ტყის მასალით. სამმა სანდალმა ნავთ საყუდელს მოაშურა, სხვები კი ტალღამ სხვა და სხვა მხარეს გაიტაცა. ის სანდლები, რომლებიც ნავთ საყუდელში სდგებოდნენ თავის შეფარებას, დაეტაკნენ ბრეკვატერს და დაიღუპნენ. მიზეზი დატაკებისა ის ყოფილა, რომ სანდლების მმართველებს ვერ გაურჩევიათ ის ნიშანი, რომელიც ნავთსაყუდელში შემოსასვლელია, ელექტრონის ფარნებისაგან. როგორც დანამდვილებით ამბობენ, თორმეტი კაცი დაღუპულა დანარჩენების ამბავი ჯერ-ჯერობით არა იციან-რა.

ტალღამ ხოვის სუსხმა აქაც მოახწია. დაიწრეს რამდენიმე მუშა, რომელნიც ოზურგეთში გაგზავნეს. აქაურმა პოლიციამ დაბეჭდა ტუღუშის სტამბა, მაგრამ 22 ამა ნოემბერს ისევ გახსნა.

მედგარი

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ქართული წარმოდგენა**. 25 ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ცნობილი ისტორიული პიესა „სამშობლო". არტისტები ძალიან უფერულად და უგულოდ თამაშობდნენ, თითქოს პირობა მიუციათ ერთმანეთისთვისაო. ქართველ არტისტების ჩვეულებრივმა სენმა—როლების უცოდინრობამ და ბაზრულმა ქართულმა—ისეთი წინადადებებიც კი წამოასროლინა, როგორიცაა: „მეშოკზე" დაბრძანდით, ან კიდევ „შეიარაღებული ცხენები გვიცდიანო". როდის იქნება, რომ ჩვენმა მსახიობებმა ქართული ლაპარაკი ისწავლონ?

წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო, უმრავლესობას მოსწავლე ახალგაზდობა და ბავშვებით შეადგენდა.

—

**ოპერა**. მეორედ ქ-ნი თლიმპია ბარონაძე როსინის „სევილიელ დალაქში" გამოვიდა. მუსიკა «სევილიელ დალაქისა» მშვენიერ ქალის ღიმილსა ჰგავს, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს გამოითქმის კოპწიაობა, ჰაეროვნება, გრძნობათა კეკლუცობა, სინარნარე, სიტურფე—ერთის სიტყვით—ყველა ის, რაც გიხიბლავს გრძნობას, გიტყვევებს თვალს და ნეტარებას გაახლოვებს.

ვერც ხანთა სვლამ, ვერც სხვა დიდებულმ მუსიკალურმა ნაწარმოებმა ვერ დაჩრდილა ეს ძველის-ძველი, მაგრამ მსმენელისათვის მუდამ მაინც ახალი ნაყოფი დიდებულ როსინის აღმაფრენისა.

თითქმის ყველა იცნობს ბომარშეს უკვდავ კომედიას «სევილიელ დალაქს». მკითხველი დამეთანხმება, რომ, ვით საოპერო მასალა, განსაკუთრებით იმ დროისათვის, როცა როსსინი მოღვაწეობდა და როცა ოპერის სიუჟეტად უმეტესად გმირული საგნები და თვით გმირ-ადამიანთა ვინაობა იყო მიჩნეული,—ბომარშეს გესლითა და დავინვით აღსავსე სატირა ხელსაყრელი როდი უნდა ყოფილიყო კომპოზიტორისათვის. ეს კომედია როდი აძლევდა მემუსიკეს საშუალებას შეექმნა დიადი მუსიკალური ანსაბლი, ან მოქმედ პირთა ძლიერი სულის კვეთება; ამისათვის მას ხელი არა ჰქონდა გარემოება, რომ სცენაზედ ხალხი გამოეყვანა ხოროს სახით, გაემართა მეტქმულობა, მაღალნი გრძნობანი დაეპირისპირებინა ქვენა სურვილებისათვის და ამრიგად ზავთი და ზეიმი შეეტანა მუსიკაში.

როსსინიმ არც აცხელა, არც აცივა და ბომარშეს კომედია ისე მიიღო საოპეროდ, რომ შინაარსისათვის ნირი არ შეუცვლია. როზინას სიკეკლუცე, სინარნარე და კოპწიაობა, ფიგაროს მხიარული ეშმაკობა და ოინბაზობა, დონ-ბაზილიოს გაიძვერული კომიზმი და თაღლითობა, ბართოლოს სიტუტუცე და [ალმაცივას ლაღი ტრფიალება როზინას მიმართ—როსსინიმ ჰანგთა გრძნეულის წყობილებით სრულის სავსებით გადაიტანა ოპერაში.

მუსიკა ამ ოპერისა დაუშრეტელი ნაკადულია მელოდიისა და ამასთანავე სრული დამახასიათებელი მოქმედ პირთა. საკმარისია გავიხსენოთ ფიგაროს რეჩიტატივები პირველ მოქმედებისა, როზინას არია მეორე მოქმედებისა, დონ-ბაზილიოს ჰანგი ცილისწამების შესახებ—რომ თვალწინ წარმოგვიდგეს სრული განხორციელება ბომარშეს ფრთაშესხმულის იუმორისა.

სასიმღეროდ «სევილიელი დალაქი» ერთი უძნელეს ოპერათაგანია. მრავლისაგან მრავალი კილოიანი და სწრაფად გამოსათქმელი რეჩიტატივი, საკნინმანჭურო ჰანგები ყველა პარტიებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი მუსიკალური ფრაზები, ერთმანეთში გადახლართული,—ყველა ეს ძნელი დასაძლევია და ამიტომაც მისი ხეირიანად აღსრულება იშვიათი მოვლენაა ხოლმე ტფილისის სცენაზე.

შაბათის წარმოდგენაში, რაღა თქმა უნდა, ქ-ნი ბარონატი კვლავ მომჯადოვებელი რამ იყო. როზინას სხარტი, ცელქი ცხოველმყოფელი არსება მის მიერ სრულის სავსებით იქმნა გაპიროვნებული; არ ყოფილა ისეთი წამი, რომ სცენაზედ იგი გაჩუმებული, უმოძრაოდ ყოფილიყოს, მღეროდა თუ სდუმდა, იგი მაინც მეტყველებდა თვალებით, სახის მოძრაობით და მიხვრა-მოხვრით. რაც შეეხება სიმღერას,—მან უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია. გრძნობა და სმენა ტყვენილი ვუგდებდი ყურს ამ მესანიშნავ მომღერალს და განცვიფრებაში მოვყავდი იმ მრავალ ფეროვანებას ხმის მეტყველებისას, რომლითაც შეზავებულია მისი სიმღერა. ერთსა და იმავე მუსიკალურ ფრაზას იგი ხან მკვეთრად, ხან კი ისეთის ნელის გზნებით გამოსთქვამს ხოლმე, თითქოს შორიდან მონაბერი სიმის ნაზი წკრიალიაო. მესამე მოქმედების იმ სცენაში, სადაც როზინა მუსიკას სწავლობს, ქ-ნმა ბარონატმა საკვირველის სინარნარით და სიტკბოებით რამდენიმე რომანსი იმღერა ფრანგულ ენაზედ და მთლად მოაჯადოვა დამსწრე საზოგადოება, რომლის აღტყინებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია.

დანარჩენი მომღერალნი, გარდა ბ-ნ აკიმოვისა, რომელიც ჩინებული ბართოლო იყო,—თითქოს ერთმანეთს დანაძლევებოდნენ,—არა ვინ უფრო უხეიროდ იმღერებს და ითამაშებსო. ამის გამო ძალიან უცარავდნენ ხელს ქ-ნ ბარონატს და მის მიერ გამოწვეულს შთაბეჭდილებას იერი დაუკარგეს. სხვათა შორის გურჩევ ბ-ნ სიბირიაკოვს, რომელიც საერთოდ მშვენიერი მომღერალია, ხელი აიღოს დონ-ბაზილიოს როლზე; ეს როლი სრულიად არ შეეფერება, რადგანაც ბ-ნ სიბირიაკოვს კომიზმის ნატამალიც არ მოეპოვება და უკომიზმოთ-კი დონბაზილიო წარმოუდგენელია. წარმოდგენას დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო. **ი.**

## ლუარსაბ ლოლუას ხსოვნას

—

ამ წლის აგვისტოს 15-ს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, ქუთაისში გარდაიცვალა ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა, რომელიც 12 წლის განმავლობაში ქუთაისის ქალაქის თავად იმყოფებოდა. განსვენებული სამეგრელოს ღარიბ აზნაურის შვილი იყო, იგი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში ყირიმის ომის დროს, როცა სამეგრელოს მართავდა მცირე წლოვან მთავრის ნიკოლოზ დადიანის დედა ეკატერინე. დიდი გაჭირვება და ვაი ვაგლახი გამოსცადა განსვენებულის მამამ შვილის სასწავლებელში მიცემის დროს. სამეგრელოს ავტონომია ჰქონდა მინიჭებული და მეგრელების შვილებს რუსეთის სასწავლებლებში იღებდნენ მხოლოდ სამეგრელოს მთავრის ნებართვით; ნებართვის აღება-კი ადვილი არ იყო. სამეგრელოს მთავრობა ნიადაგ შიშში იყო, რომ რუსეთს არ მოესპო მისთვის ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი არსებობა და ეჭვის თვალით უყურებდა, ვინც სამთავროს საზღვრიდან გადიოდა არა თუ ცოდნის მისაღებად, არამედ სხვა საჭიროებისთვისაც. გიმნაზიაში ლუარსაბმა დიდი ხალისი გამოიჩინა სწავლისა. გაათავა თუ არა გიმნაზია, განსვენებული შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. დიდი გაჭირვება გამოიარა ლოლუამ როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში, მამა მისი უყმო და უმიწაწყლო აზნაური იყო, ხოლო დედა—ქუთაისის ღარიბ მოქალაქის ედიგაროვის ქალი. ისეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ მისი მშობლები, რომ ლუარსაბი იძულებული იყო როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში მშობლებისათვის ეწოდებინა გროშები ლუკმა პურის საშოვნელად. იგი თან სწავლობდა და თან გაკვეთილებს აძლევდა, რის გამოც არც დღე და არც ღამე მოსვენება არა ჰქონდა.

როდესაც ლოლუა რუსეთიდან დაბრუნდა, ის იყო შემოიღეს ახალი სასამართლოები. ახალგაზდობა აღტაცებული იყო ამ რეფორმით. იგი შეუდგა ადვოკატობას და ამ პროფესიაში შესაფერი ნიჭიც გამოიჩინა. განსვენებული თავის სიტყვებში ბრალდებულთა დაცვის დროს ყურადღებას აქცევდა ცხოვრების იმ ძირითად მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს ესა თუ ის დანაშაულობა და ცხოვრების მშვიდობიანობის დარღვევა. მაგრამ განსვენებულს არ აკმაყოფილებდა ვექილის ხელობა. მან თავი მიანება ვექილობას და შეუდგა პუბლიცისტიკას. იგი აშფოთებული იყო იმ ყალბის პოლიტიკით, რომელიც ჩვენმა მზრუნველებმა შეიტანეს საერო სკოლებში. თავის სტატიაში*) განსვენებულს ის აზრი გაჰყავს, რომ საერო სკოლებში რუსულ ენის გაბატონება შეაფერხებს სწავლის საქმეს და მიზანსაც ვერ მიაღწევსო. სკოლა ისე მოწყობილი უნდა იყოს, რომ შესძლოს შეასწავლოს ბავშვს წერა-კითხვა და ამასთან მიაწოდოს პირველ დაწყებითი ცნობანი ზოგიერთ საგნებიდან. თვით სწავლა სკოლაში უნდა იყოს სიცოცხლით სავსე, ბავშვის გულში უნდა შთაიბეჭდოს წიგნის სიყვარული. ყოველსავე ამას სკოლა მაშინ შესძლებს, როდესაც იგი საღ პედაგოგიურ ნიადაგზე იქნება აგებული და სწავლება დედა ენაზე და არა უცხო ენაზე მოეწყობა. უცხო ენა სკოლაში ვერ შეჰქმნის იმას, რასაც სკოლისაგან მოველით, ვერ შემოსავს მომავალ მუშაკს შრომის განაყოფიერებულ იარაღით. სკოლაში რუსულ ენის შემოღება—ლუკმა პურის წართმევის ნიშანი იქნება. როგორ უნდა იცხოვროს და იმოქმედოს მეგრელმა გარეშე გურიისა, იმერელმა გარეშე ქართლისა და კახეთისა, რა ფასი უნდა ჰქონდეს ამ ადგილებში თუ ქართული ენა და წერა-კითხვა არ ეცოდინებათ?

საზოგადოდ განსვენებული დიდი მომხრე იყო სწავლა-განათლებისა. როდესაც ქუთაისის თავად-აზნაურობას ოცი-ათასი მანეთი მიეცა, ამ ფულის დანიშნულების გამოსარკვევად დაინიშნა რამდენიმე კომისია. ერთი კომისია ურჩევდა სათავად-აზნაურო ინსტიტუტის დაარსებას; მეორე კომისიის აზრით, ფული მაღალ და საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთათვის სტიპენდიებად უნდა გადადებულიყო, მესამე კომისიის აზრით-კი ეს ფული დაბალ სასწავლებლების დასაარსებლად უნდა გადადებულიყო. განსვენებული მეორე კომისიის წევრად იყო, მაგრამ ავადმყოფობის გამო კრებას ვერ დაესწრო და წერილობით გამოსთქვა თავისი აზრი*). იგი ამბობდა, როგორც ომში ბრძოლა, ისე კულტურულს ბრძოლასაც სჭირდება სარდალი და ამ სარდალს ჩვენ მაღალ განათლებისაგან უნდა მოველოდეთ. დაუფასებელია საზოგადოებისათვის კარგი მრჩეველი, კარგი წინამძღოლი. კარგმა წინამძღოლმა დაქუცმაცებული გერმანია შეაერთა და უძლიერეს სახელმწიფოდ გარდაჰქმნა, ცუდმა წინამძღოლებმა-კი დიდებული საფრანგეთი დასცეს. კულტურული ბრძოლა უფრო საშინელია, ვიდრე ომი; აქ მტრისათვის არავითარი საერთაშორისო სამართალი არ არსებობს, იგი შეუბრალებელია, მან არ იცის არც შეჩერება, არც ზავი, კვალში უდგია მსხვერპლს და მხოლოდ მაშინ გაჩერდება, როდესაც მოსპობს სავსებით, ან თითონ გამოელევა ძალ-ღონე საბრძოლველად. ყოველივე ეს ნათლად სდგას მეცნიერებით აღჭურვილის თვალწინ, მხოლოდ ასეთი მოღვაწე დასდებს შესაფერ წამალს. ვაი იმ ერს, რომელიც ამ ბრძოლაში დამარცხდება, მისი არსებობა აღიგვება ქვეყნისა პირისაგან და მასის სამშობლოს სახელი მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად დარჩება! რომ ჩვენი ქვეყანა ამნაირ განსაცდელს ასცდეს, საჭიროა მის სათავეში დარაჯად იდგნენ მაღალის სწავლით შეიარაღებულნიო.

განსვენებულმა სავსებით იცოდა ჩვენის ცხოვრების ავ-კარგი. თავის საუბრებში „ჩვენს სასოფლო მეურნეობაზე", *) განსვენებული იკვლევს ბატონ ყმურ დამოკიდებულებას გლეხთა განთავისუფლებამდის და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ გლეხის ნაქონი მიწა გლეხის საკუთრებად ითვლებოდაო. ბატონი გლეხს ვერ ჩამოართმევდა მიწას. გლეხი მუდამ დარაჯობდა, რომ მისი მიწა არავის დაეპყრო, მზად იყო სისხლიც დაეღვარა მის დასაცველად. იგი ჰყიდდა, აგირავებდა და უძღოლობდა მიწას თავის სახელზე. ძველი და ახალი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ბატონი შორს იდგა გლეხის მიწაზე და ხელი უფრო პირად გლეხისათვის ჩაეჭიდნა, ვიდრე იმის მიწისათვის. გლეხის ბეგარა სრულიად არ იყო შეზომილი მიწის რაოდენობასთან; ათი ქცევის მიწის პატრონი იმდენსავე ბეგარას იხდიდა, რამდენსაც სამოცისა და ოთხმოცის მქონე. როდესაც გლეხი გამრავლდებოდა და ერთი კომლი რამდენსამე კომლად გადაიქცეოდა, თვითეული კომლი იმდენ ბეგარას იხდიდა, რამდენსაც ადრინდელი ერთი.

დიდი შრომის მოყვარე კაცი იყო განსვენებული. იმ დროს, როდესაც იგი ქალაქის თავის თანამდებობას ასრულებდა, იგი იყო საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ და სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარედ. სასამართლოში ყოველ კვირას დადიოდა. განსვენებული სახლში ემზადებოდა და თავის მოხსენებას ზეპირად აძლევდა სასამართლოს შესახებ საქმის გარემოებისა და კითხვებისა; მისი ამხანაგები კი თავს არ იტეხდნენ. როგორც ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, განსვენებული თვალ-ყურს ადევნებდა ბანკის გამგეობის ყოველ ნაბიჯს და სესხის გაცემაში დიდ სიფრთხილეს იჩენდა; განსვენებულის ბანკში სამსახურის დროს არა ყოფილა გაცემული იმისთანა სესხი, რომელშიაც ბანკს შესამჩნევად ეზარალნოს. არა ყოფილა იმისთანა საზოგადო საქმე, რომელშიაც განსვენებულს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

განსვენებული თორმეტ წელიწადს იყო ქუთაისის ქალაქის თავად. როდესაც იგი ქალაქის თავად აირჩიეს, ქალაქის მდგომარეობა მეტად დაცემული და აუტანელი იყო. ქალაქს არა ჰქონდა არც სამკურნალო, არც სამკითხველო, არც საკუთარი აფთიაქი, ქუჩებში ეკიპაჟებით გავლა არ შეიძლებოდა ტალახისა და მოუკირწყლაობის გამო. ეპისკოპოზი გაბრიელი ცხენით მიდიოდა თავის სადგომიდან სობოროში საწირავად; მიცვალებულს ასაფლავებდნენ თვით ქალაქში და ქალაქის გარედ სასაფლაო არ იყო. სასაფლაოს სუნი ჰხუთავდა არე-მარეს და ათასნაირ სენს აჩენდა ქალაქში. განსვენებული მხნედ შეუდგა ქალაქის საქმეებს. მან აღმოუჩინა ქალაქს ახალი შემოსავლიანი წყაროები. დააარსა ქალაქის სამკითხველო, აფთიაქი, უფასო სამკურნალო, საყასბო, ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება, ქალაქის მოედნებზე გამართა დუქნები, შესძინა ქალაქს იაფად ძვირფასი სახლი, სადაც მოათავსა ქალაქის გამგეობა, კლუბი და სხვა დაწესებულება, ააშენა დიდი სახლი, სადაც მოთავსებულია ქალაქს აფთიაქი, სამკურნალო, დუქნები და სხვა დაწესებულებანი. მოკირწყლა და რიგზე მოიყვანა ქუჩები და მოედნები, შეაკეთა ხიდები, გააუქმა ქალაქში არსებული სასაფლაოები და ქალაქს გარედ გამართა ახალი სასაფლაო, შეიმუშავა პროექტი შესახებ წყლის გაყვანისა და ტრამვაისა; კონცესიონერიც იშოვა და ბეც ჩამოართვა, მაგრამ განსვენებულის მიერ სამსახურიდან გასვლის შემდეგ ეს საქმე არ განხორციელდა და მიღებული ბე 25,000 მანეთი ქალაქს შერჩა. განსვენებულის პატივსაცემად ქალაქის საბჭომ დაადგინა, მისი სურათი დაკიდებულ იქნეს საბჭის დარბაზში.

**დ. ა.**

*) „საერო სკოლები სამეგრელოში" („ივერია" 1903 წ. № 101), ცალკე წიგნაკად გამოცემული მერკვილაძის მიერ 1903 წ.

*) „ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის ნიმუშები".

*) „ივერია" 1904 წ. №№ 235—236.

## სევერიანე ბაკურაძე

—

ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო ამხანაგი, მესამე კლასის მოწაფე სევერიანე ბაკურაძე, რომელიც 24 ნოემბერს გარდაიცვალა. განსვენებული იყო ღარიბ დედ-მამის შვილი, შორაპნის მაზრის სოფ. კვალითიდან. სემინარიაში შესვლის შემდეგ მან მხნედ მოჰკიდა ხელი თვითგანვითარების საქმეს. სცემდა სხვებთან ერთად ხელ-ნაწერ ჟურ-

ნალს „სხივს“, მთათავსა რამდენიმე ლექსი „მიწა“-ში. ახალ აზრებით გამსჭვალული ცხრამეტი წლის ჭაბუკი უცდას აგვირგვინებდა თავის ხასიათის სიდარბაისლით და დალაგებულ საბუთიან მსჯელობით სხვა და სხვა საკითხების შესახებ. იმისთვის არავითარი გართობა არ არსებობდა, გარდა წიგნის კითხვისა, და აგი ამიტომაც მომჯადოებელი გავლენა ჰქონდა თავისს ამხანაგებზე. უღმობელმა სენმა—ჭურის ანთებამ,—რომელიც თავის დროზე ვერ შეიტყო სემინარიის მკურნალმა, სამუდამოდ მოგვიშორა ნიჭიერი ყმაწვილი.

მკურნალი სემინარიისა ცოდნით თვალის ექიმია. ის მოიწვია სემინარიის გამგეობის უმეტესობამ 1905 წელს რექტორის გრიგოლის (აწ ბაქოს ეპისკოპოსის) დროს. ეს მკურნალი თვალის ექიმი ბაიკურაძეს ეუბნებოდა, აგათ არა ხარო, სიცხის საზომი ძალათ გაგიცხელებია, რომ ავადმყოფად გამოგეყვანა შენი თავიო და სხვა. სემინარიის გამგეობამ მხოლოდ ამ თვეში დაადგინა ხსენებულ ექიმის დათხოვნა და სხვა ექიმის მოწვევა. დაგვიანებულმა ოპერაციამ მიხეილის საავადმყოფოში ვეღარ უშველა ჭაბუკს, რომლის ასე მოულოდნელმა დაკარგვამ მეტად დაადონა ამხანაგები და ნაცნობნი. მიცვალებული რკინის გზით წაასვენეს ჭირისუფლებმა სამშობლო სოფელში დასასაფლავად. მოწაფეებს სურდათ შესაფერის სიტყვებით გამომშვიდობებოდნენ ამხანაგს, მაგრამ რექტორმა პიმენმა გამოუცხადათ, რომ ქართულს ენაზე სიტყვის თქმის ნებას არავის მივცემ, ვისაც სურდეს, ყრუდად სთქვას სიტყვაო. **ნ.**

---

## პასუხად გომართელს*)

ბატონო გომართელო!

მე თქვენ მოგმართეთ, როგორც სახელგანთქმულ ექიმს, მწერალ-ცუბლიცისტს, წრის თვალსაჩინო წევრს და დეპუტატათ ნამყოფს, ერთის სიტყვით, როგორც გონება გახსნილსა და სწავლა-განათლებაში განვითარებულს, რომ მიგეთითებიათ ჩემთვის იმ ისტორიულ წყაროზე, რომლითაც ხელმძღვანელობდით მაშინ, როცა სწერდით, რომ ბატონ-ყმობის დროს „პირველი დამის უფლება“ საქართველოშიაც იყო დაკანონებულიო.

დიდათ გმადლობთ პასუხისათვის, მაგრამ მე კი სულ სხვას მოველოდი და იმ თქვენმა პასუხმა ვერ დამაკმაყოფილა: სიტყვა «დაკანონება», როგორც თქვენი პასუხიდანა სჩანს, მე და თქვენ სულ სხვა გვარად გვესმის: მე ის მიმაჩნია „დაკანონებულად“, რაც რჯულის დებაში ნება-რთვით მიღებულია და ან თვით ხალხის ზნე და ჩვეულებათაა გადაქცეული, ესე იგი ადათად!.. არც აღბუღას სამართალში, არც გიორგი ბრწყინვალის კანონ-დებაში, არც ვახტანგის რჯულის დებაში, არც რომელიმე ისტორიულ ნაკვთში ამ გვარი არა გვინახავს რა და მიტომაც მოვისურვეთ მეტყობა თქვენგან. მაგრამ თქვენ ბრძანებთ, რომ „ბატონყმობის მომსწრე მოხუცებულებისაგან გამიგონია და სალომემაც მითხრაო“. მე მგონია, რომ მოხუცებულების გადმოცემი და სალომეს ნაამბობი, იურიდიულ მასალად ვერ უნდა გამოდგეს!.. ეს არის მხოლოდ სოფლური მითქმა-მოთქმა და ეს მითქმა-მოთქმაც უხერხულია; ეს მეორე საუკუნე იქნება, რაც საქართველოს თვით არსებობაზე ხელი აადებიეს. დატრიალდა ცხოვრების სხვა გვარი ჩარხი, ძველი წეს-წყობილება დაიმალა, შემოვიდა ახალი; კანონიც სხვა მოჰყვა და სამართალიც. ეროვნული მაჯის ცემა შეჩერდა. ამ ხნის განმავლობაში რაც უნდა მომხდარიყო, საკუთრად ჩვენი ისტორიის პასუხის-საგებელი აღარ იყო. საქმე აბეკუნებზე იყო მიმდგარი და მაშ თქვენ სად ნახეთ თქვენის თვალით მისთანა მოხუცებულნი, რომელნიც დამსწრე ყოფილან და გეტყოდეს იმ ამბავს, რომელიც ჩვენს წინაპრებსა და ისტორიას შეეხება? ცხადია, თქვენ ამ ბოლოს დროის, გუშინდელ ამბავს, ამბობთ. უკანასკნელ ბატონ-ყმობის მომსწრე მეცა ვარ და აბა მეც მომისმინეთ: გახურვებულ ბატონყმობის დროს, სიკო წერეთელს გლეხი გადაუშენდა და დარჩა მხოლოდ ერთი ათი წლის ქალი უპატრონოდ. მებატონემ ის ბავშვი მოახლედ გამოიყვანა სასახლეში. ეს ეუცხოვა სოფელს, მიიხმეს სხვა სოფლელებიც და ათასობით გლეხები ბერ-კეტებით მოადგნენ თავადის სასახლეს და მოიტაცეს ქალი. წერეთლებმა ეს მოქმედება გლეხების თავხედობათა და გვარის შეურაცხყოფად მიიღეს, შეეკაზმენ, შეიარაღდნენ და გამოუდგნენ გლეხებს, დასწვდნენ ყვირილის პირად. იქ გლეხებმა იბრუნეს პირი და დაემზადნენ საჩხუბრად. „ბატონებო, ნუ იზამთ უსამართლობას, თორემ თავებს დავიხოცავთ! ნუ დაგვაქცევიებთ უსამართლოდ სისხლს! იმას ნუ ჩადიხართ, რაც არ გაგონილა ძველად: ობოლი სოფლისაა. სოფელი გამოზრდის და გაათხოვებს. ბატონს ნება არა აქვს, რომ მოჯალაბის შვილოვით, მოახლედ სასახლეში გაიყვანოსო“. ამ საბუთის ძალათ და შუა ჩავარდნილ კაცების მეოხებით, წაიყვანეს ქალი და როგორ გგონიათ თქვენ, ამისთანა ხალხი, ამ გვარად შეგნებული მოითმენდა, რომ ყოფილიყო «პირველ დამის» კანონები?

რაღა თქმა უნდა, რომ არა!—ამას ხომ თქვენ თვითონვე ამტკიცებთ?! სალომეს რომ გადმოუცია «კალატოზის შვილი გლეხმა მოჰკლაო“, ეს ძკვლელობა რას ნიშნავს სხვას, თუ არ იმას, რომ იმ გვარი მოვლინება, როგორც „პირველი დამე“ ეუცხოვებოდა ხალხს, საშინელებად ძიაჩნდა და თან სიკვდილიც მოსდევდა? თვითო ოროლა შემთხვევა, თუ როდისმე სადმე მომხდარა, განა ეს ისტორიული დაკანონებაა? ძალ-მომრეობა, ბოროტება და საძაგლობა ყოველ საუკუნეში ყოფილა და ყოველ ხალხში. ყოფილა, იქნება და არის, მაგრამ ეს განა მთელ ხალხს შეეხება?!. ვსთქვათ, რომ კიდეც ყოყოფილიყოს ძველად ჩვენში ეს საძაგლობა, დღეს რაღა მოსაგონებელია? ბატონ-ყმობა გადავარდა, ღვთის მადლით, იმას ვეღარა დააბრუნებს რა და არც არავის უნდა. ის გადაიქცა ისტორიულ მასალად, მაგრამ ზოგიერთები კი, რომელთაც, როცა საჭირო იყო, ხმა არ გამოუღიათ, დღეს საბრძოლველ იარაღად ხმარობენ, რომ წოდება წოდებას მიუსისიანონ და ნაცვლად ერთობისა, ძმობისა, თანასწორობისა და სიყვარულისა, ქართველებში ჩამოაგდონ შური და მტრობა!.. ეს ხომ მტრის გულის საქმეა? მისი საცადი და მისი გასახარელი ხერხი? ესეები ყველა, თუ არ უკეთ, ჩემზე ნაკლებ არ გესმისთ, დარწმუნებული ვარ, მაგრამ რაღაც შორეულ მოსაზრებით ხელმძღვანელობთ და მეც ნება მიბოძეთ, რომ შორიდან დავიწყო: იმ ხალხს, რომელსაც წარსული არა ჰქონია, კულტურული კვალი არა უნიშნავს-რა და არც აწმყო უვარგა, უფლება არა აქვს, რომ მოძავალზე საკუთრად იფიქროს!.. ის მოძაკვდავია, როგორც ერი, და უნდა სხვას შეუერთდეს, გადარჯულდეს და ამიტომაც, როცა ერთი რომელიმე ერი იბრიყვებს მეორეს და იმონებს, სცდილობს, რომ წარსული დაავიწყოს: უქარწყლებს ისტორიულ ნაშთებს, უნგრევს ციხე-დარბაზებს, უბღალავს ტაძრებს, ჰმუსრავს ნახატებს, უკრძალავს დედა ენას და სხვანი. ასე მოქმედობდნენ ჩინეთის ყაენები, ლანგთამურები და სხვანი, ამავე კვალს ადგიან დღევანდელი მპყრობლეპიც, ასეთია იმათი უსამართლო, საბატონო პოლიტიკა!.. მაგრამ მტერს სამაგივრო რა უნდა მოეთხოვოს?.. ის კი გასაკვირველია, რომ ამისთანა დროს გამოდიან რომელიმე ერის შვილები და თავისივე ერს მტერთან ერთად უკიჟინებენ „ვაფურთხებთ ისტორიას, და გვეზიზღება წარსული“-ო, და სხვანი. ჰგმობენ წარსულს, კარგი რაც ყოფილა, იმას ხელს აფარებენ და ცუდს კი აზვიადებენ, ცილსაც სწამებენ და იმავე დროს საოცნებო მომავალზე ჰფიქრობენ!.. და ვაი, თუ თქვენცა, როცა „პირველ დამეზე“ სწერდით, ამგვარ რამეთი ხელმძღვანელობდით, ბატონო!

**აკაკი.**

*) ვბეჭდავთ სრულიად ბ-ნ აკაკის წერილს, თუმც არ ვეთანხმებით ავტორს ზოგ რამეში: მართალია ბ. აკაკი, როცა ამბობს, რომ primae hoctis უფლება ჩვენში დაკანონებული არ იყო; მაგრამ ფაქტიურად მას ადგილი რომ არ ჰქონოდა, ამის საბუთებს ვერც ავტორი მოიყვანს. ბატონ-ყმობა ისეთი საშინელი და უსამართლო ინსტიტუტი იყო, რომ ყოველგვარი ბოროტება შეიძლება აყვავებულიყო მის ნიადაგზე. გარდა ამისა, ბატონ-ყმობის დაგმობა-ძაგება სრულიადაც არ ნიშნავს მთელის ჩვენის წარსულის უარყოფას და ახლანდელ ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობის გამწვავებასაც არ მოასწავებს.

**რედ.**

---

# რუსეთი

—:—

✦ **დუბროვინის ჩივილი.** რამდენისამე თვის წინათ „ჭეშმარიტ რუსთა“ გაზეთის რედაქტორი დუბროვინი პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა 1000 მანეთით დააჯარიმა. დუბროვინმა ჯარიმა არ გადაიხადა პოლიციამ მას ქონება გაუყიდა და ჯარიმის ფული აიღო. ეხლა იგივე დუბროვინი ხელმეორედ დააჯარიმეს 3000 მანეთით დუბროვინმა ხელმწიფეს მიართვა თხოვნა: დამიფარეთ გრადონაჩალნიკის თვითნებობისგანაო. მემარჯვენე დეპუტატები სათათბიროში შეკითხვას აპირებენ ამის შესახებ.

✦ **მუშების დათხოვნა.** პეტერბურგში სახაზინო ქარხნებიდან აუარებელ მუშას ითხოვენ იმის გამო, რომ სამუშაო გამოილიათ. ამას წინად დაითხოვეს 250 მუშა; მალე კიდევ ათასამდე მუშას დაითხოვენ.

✦ **ახალი სარევოლ. ორგანიზაცია.** პეტერბურგის პოლიციას ამას წინათ დაუპატიმრებია შვილი სენატორის დომონტოვიჩისა, გიმნაზიის მასწავლებელი და რამდენიმე სტუდენტი. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულნი ყოფილან წევრნი ახალ სარევოლუციო ორგანიზაციისა, რომელსაც აზრად ჰქონია მრავალ დიდ კაცის მოკვლა.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

---


# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
**1908 წ.**
## კედლის კალენდარი
შედგენილი **კ. თავართქილაძისა**

კალენდარი გადიდებული ფორმატისაა, არის შედგენილი **მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, გრიგორიანთა, მაჰმადიანთა და ებრაელთათვის.**

ყოველ უკანა გვერდზედ ორი სამი ამბავი არის მოთავსებული და ღირს მხოლოდ 40 კ.; **ვინც პარტიობით იყიდის იმას დაეთმობა** 20%.

ადრესი: ТифлисъК. Таварткиладзе.
(3—452—1)

---

მეხუთე უბნის (უჩასტკის)
მოვაჭრეთა საყურადღებოდ.

მეხუთე უბნის კომიტეტის კრებამ დაადგინა: რადგან წვრილ-ვაჭართა პროფესიულ საზოგადოებაში წევრთა ჩაწერისათვის უნდა იზრუნონ კომიტეტის ყველა წევრებმა, ამისთვის მეხუთე უბანი იყოფება ორ ნაწილად: მანთაშევის ქარვასლის ქვევით წევრების მისაღებად იმოქმედებენ მიშა იაგორის ძე დავლაშერიძე, ვანო გიორგის ძე შენგელია, არშაკ გეურქას ძე მამულოვი და მიხაილ ივანეს ძე ფირზადოვი; მანთაშევის ქარვასლის ზემოდ იმოქმედებენ წევრების მისაღებად დავით ივანეს ძე გუდაძე, კოტე თადეოზის ძე ფიცხელაური და თომა ანდრიას ძე ჯიქია.

როცა საჭირო იქმნება, დაიხმარებენ კანდიდატებს.

**მეხუთე უბნის კომიტეტი წვრილ-ვაჭართა პროფესსიულ საზოგადოებისა.** (3—445—2)

---

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანაზოვი** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**კ. ი. გელოვანი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი დ საბავშვო.

**ა. ი. უზერნინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(ხალ.—167)

---

მასწავლებელი
## ქალები
იყვანენ მოწაფეებს მოსამზადებლად, ამეორებინებენ გაკვეთილებს როგორც სახლში, ისე თავიანთთან, აგრეთვე იყვანენ პანსიონერებად ან ნახევარ პანსიონერებად.

**ადრესი:** ავლაბარი, მარტყოფისა და აბსერვატორიის ქუჩების კუთხეში. დილის 8—2 საათამდის. (10—1)

---

## ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.
იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—15)

---

საზოგადოების საყურადღებოდ.

როგორც მე ნამდვილად გავიგე, გორის მოქალაქე ... შორის მათთან ჰყიდის იმ ჩემ საკუთრება მამულსაც, მდებარე სოფელს ავნევში, წისქვილს ბაღებით და მიწით და სახლებით, რომელიც მდებარეობს იმის მამულების საზღვარზედ. ეს მამული სამოსამართლო პალატის განაჩენითაც ჩემზედ არის დარჩენილი. ამის გამო ვაცხადებ, არავინ ისყიდოს ეს ჩემი მამული და არ მოსტყუვდეს. **დარია გრიგორის ასული მაჩაბლისა.** (2—ფ—2)

---



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.
## საჭიროა
**თანამშრომელნი ორისავე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**
მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—86)

---

**გ ა მ ო ვ ი დ ა**
ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული
## ქართული წერის დედანი
და
**სახატავი ნიმუშები**
**ს. დათეშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში. ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათეშიძეს. (10—3—8)

---

✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦



# კალოშებისა
და სხვა რეზინის საქონლისათვის
## უმაღლესი ჯილდო
(GRAHD-PRIX)
პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება
სავაჭრო სახლში
## ლეოპოლდ ნეიშელლერ
პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა
**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**
დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, კიევს და ტაშკენტში.

პეტერბურგის სამეცნიერო წარმოების ამხანაგობისა.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი**
იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ტყავისა. (100—100)


სტამბა „ივერია“ (მ. დ. კრანბაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6